ოქმი:**ო02. 3723123001**

თარიღი:**03/05/2023**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 2 მაისი

ქ.ოზურგეთი

14.00-14.30 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი, ნ. ურუშაძე, ვლ. ხავთასი, დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, გ. შილაკაძე, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ქ. ოზურგეთში, ჭადრების პარკში(ს/კ 26.26.47), ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული კომპანია „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ წერილი, რომელშიც ისინი ითხოვენ ნებართვას, საკუთარი ხარჯებით, განათავსონ ქ. ოზურგეთში, ჭადრების ბაღში, ცნობილი გურული პოლიტიკოსის ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტი. მან მოკლედ ისაუბრა მისი მოღვაწეობაზე, ხოლო უფრო ვრცლად გურულ პოლიტიკოსზე ისუბრეს მოწვეულმა ისტორიკოსებმა მ. ჩაჩუამ და მ. ჭყონიამ. კომისიის წევრმა დ. მდინარაძემ გამოთქვა აზრი, რომ ჭადრების პარკში შეირჩეს ტერიტორია, სადაც განთავსდება ექვთიმე თაყაიშვილის და სხვა ცნობილი გურული საზოგადო მოღვაწეების და ისტორიული პიროვნებების ბიუსტები. კომისის წევრმა დ. დარჩიამ აღნიშნა, რომ გურიის რესპუბლიკის პარლამენტში, ევროპაში პირველად, იქნა არჩეული ხუთი ქალბატონი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ბიუსტის ჭადრების ბაღში განთავსების მოთხოვნის საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

თანამომხსენებელმა გ. ჩავლეშვილმა ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1.სხდომის დღის წესრიგში შეტანილ N 1 საკითხზე -ინიციატორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოქმედი კანონების მოთხოვნების გათვალისწინებით გაეგზავნოს საქართველოს კულტურის სამინისტროს შეთანხმების მიზნით.

2. N 2 წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი